



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

0412.1.1

მოდულიზებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

5. ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

6. დეტალური სფერო

ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

7. სწავლის სფერო

ფინანსები

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

Bachelor of Business Administration (BBA) in finance

13. პროგრამის ხელმძღვანელი

თეა ლაზარაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს 38 კვირას;
- I სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა;
- II სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა.

აქედან:

- ა) 1-15 კვირა სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია-სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვადა ა.შ.
- ბ) მე-16 – მე-18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია;
- გ) მე-19 კვირას ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფინანსების სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება და შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში, ბიზნესთან და ფინანსებთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გაცნობიერება და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების გაცნობიერება, გაანალიზება, შეფასება და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და კომპენტენციის ფარგლებში ფინანსური სტრატეგიის შემუშავება;
- საფინანსო სექტორში მიმდინარე პროცესების ანალიზი და შეფასება, არსებული პრობლემების გამოვლენა და მისი კომპენტენციის ფარგლებში მისაღები ფინანსური გადაწყვეტილების დასაბუთება;
- ფინანსური ანგარიშგების შედგენა და ბიუჯეტირების საფუძველზე ფინანსური ნაკადების

მართვა, ბიზნეს პროექტების შემუშავება და განხორციელება;

- მზარდი კონკურენციის და ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ფინანსებში, კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და წარმატებული კარიერული წინსვლა.

17. სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • აცალიბებს ბიზნესისა და ფინანსების სფეროს ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, ფინანსების დარგის ძირითად სფეროებს, ფინანსურ კატეგორიებს; • განმარტავს ფინანსურ ნაკადებს, ფინანსურ ინსტრუმენტებს, საბანკო სფეროს, ინვესტიციებს, საერთაშორისო, კორპორაციის და საჯარო ფინანსებს; • აღწერს საგადასახადო სისტემასა და პოლიტიკას, საგადასახადო კანონმდებლობას, ფინანსურ რისკებს, ფინანსური აღრიცხვის ძირითად პრინციპებს.
უნარი	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • განსაზღვრავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ურთიერთდაკავშირებას და პრაქტიკაში გამოყენებას; • ეწევა საფინანსო სფეროში, ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში პრაქტიკულ საქმიანობას, ეცნობა სტატისტიკურ მასალებს, საინფორმაციო ბაზებსა და პროგრამებს, ფინანსურ ანგარიშებს, აცალიბებს შესაბამის დასკვნებს; • აანალიზებს ბიზნესისა და საფინანსო სფეროში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებს.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: • იყენებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ეთიკურ ასპექტებს, პროფესიულ უნარ-ჩვევებს; • ადგენს ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებებს.

18. პროგრამის სტრუქტურა

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;

- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 64 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ფინანსების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 94 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 44 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სწავლის სფეროს (ფინანსების) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტები: 16 კრედიტი

19. სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები

ვერბალური - თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია;

წერიტი - პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან და სხვა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სწავლის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენების-თვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.),

ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, მაგალითად:

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი;

ჯგუფში მუშაობისას - ვერბალური (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია/მოხსენება), წერიტი (დავალების/პრეზენტაციის მომზადება), საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული:

პრაქტიკული მეთოდები:

დისკუსია-დებატები;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);

თანამშრომლობითი სწავლება (cooperative);

შემთხვევის ანალიზი (Case study);

როლური და სიტუაციური თამაშები;
დემონსტრირების მეთოდები;
ინდუქცია, დედუქცია; ანალიზი და სინთეზი;
ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

20. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;

- თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;
- შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.
- დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავალების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) – 30–34 ქულა;

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 6-10 ქულა;

2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

21. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალოაკადემიურიშეფასებით (GPA).

22. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ **ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** და ეძლევათ

შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

23. კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და **GPA 3.5-ზე ნაკლები** - ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადabარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

24. დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული ზოგადი კომპეტენციებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში შეიძლება დასაქმდეს:

ნებისმიერი სფეროს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში და ბიზნეს-სტრუქტურებში, მათ შორის საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო კომპანიებში, საფინანსო განყოფილებებში და ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში მენეჯერის, საკრედიტო ოფიცრის, საკრედიტო მენეჯერის, გაყიდვების მენეჯერის და სხვ. თანამდებობაზე.

25. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სწავლის სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

კომპეტენციათა რუქა

სასწავლო კურსი	კომპეტენციები		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა- 1/ინგლისური ენა- 1 დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა- 2/ინგლისური ენა- 2 დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა -3 დამწყებთათვის	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	X
კომპიუტერული უნარები	X	X	X
წერის უნარები	X	X	
მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X
კალკულუსი- 1	X	X	X
მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X
ბიზნესის საფუძვლები	X	X	
კალკულუსი- 2	X	X	X
მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X
ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	X	X	
ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	X	X	
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	
სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	X	X	X
ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	X	X	
ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება	X	X	
ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები	X	X	X
პროფესიული ინგლისური ფინანსისტებისათვის- 1	X	X	X
დაბეგვრა და გადასახადები	X	X	X
პროფესიული ინგლისური ფინანსისტებისათვის -2	X	X	X
ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	X	X	
სადაზღვევო საქმე	X	X	
კორპორაციის ფინანსები	X	X	
საბანკო საქმე	X	X	
საჯარო ფინანსები	X	X	

ინვესტიციები და ინვესტირების საფუძვლები	X	X	
ფინანსური და სამეურნეო აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (oris-ბუღალტერია)	X	X	
მმართველობითი აღრიცხვა	X	X	
საბანკო მენეჯმენტი	X	X	X
საერთაშორისო ფინანსები	X	X	
ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკები	X	X	
ფინანსური ანალიზი	X	X	
პრაქტიკა	X	X	X
საბაკალავრო პროექტი	X	X	X
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
პოლონური ენა-1	X	X	
ესპანური ენა-1	X	X	X
ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	X	X	
მსოფლიო კინოს ისტორია	X	X	
მეტყველება და საჯარო გამოსვლები	X	X	
მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი	X	X	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	X	X	
ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	
პოლონური ენა-2	X	X	
ესპანური ენა-2	X	X	X
მცირე ბიზნესის მართვა	X	X	
ბიზნეს კომუნიკაციები	X	X	
ბიზნესის მოდელირება	X	X	
შრომის ეკონომიკა	X	X	
ელექტრონული ბიზნესი	X	X	X
საერთაშორისო ბიზნესი	X	X	

ბიზნესის ეთიკა და ბიზნესის ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X
ცირკულარული ეკონომიკის საფუძვლები	X	X	
ფინანსებისა და ტექნოლოგიების მენეჯმენტი	X	X	X
საგადასახადო სისტემა და პოლიტიკა	X	X	
საბანკო-საფინანსო სექტორის PR-კომუნიკაციები	X	X	X
გლობალური ფინანსური ბაზრები	X	X	X
საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდები	X	X	
ფინანსური მენეჯმენტი	X	X	
ბრენდინგი	X	X	
ინვესტიციების ანალიზი	X	X	
მენეჯერული ფინანსები	X	X	X
აღრიცხვა საფინანსო-საბანკო დაწესებულებებში	X	X	
საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემა	X	X	
ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა; საჯარო ხარჯების დაფინანსება	X	X	
საბანკო პროდუქტები და სისტემები	X	X	
საბანკო მარკეტინგი	X	X	

